საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 1161.

02 12 2019 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული გადამზადების პროგრამების დადასტურების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ხარისხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის კოორდინატორის 2019 წლის 02 დელემბრის №1641772 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, მე-16 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული გადამზადების პროგრამები:

ა) ბაღის მოვლა (მეორე დონე);

ბ) მცენარეთა დაცვის სამუშაოების წარმოება (მეორე დონე);

გ) სასტუმროს ჯავშნისა და მიღება-განთავსების მომსახურება (მცხეთის რაიონი, სოფელი წინამძღვრიანთკარი) (მეორე დონე);

დ) სასტუმროს ჯავშნისა და მიღება-განთავსების მომსახურება (დაბა სტეფანწმინდა, გერგეთის ქუჩა) (მეორე დონე).

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ მახარაშვილი